



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალურო ნახატშიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა ღამს.

№ 9

თემატრალი 23 1897 წ.

№ 9

შინაარსი: კოლეგ ორივე სიტყვა ქალაქის არჩევნებზე კ-სი.—საბერძნეთი და მისი პოლიტიკა (შემდეგი) გ. წ—ისა.—, კვ:ლის: კორესმონდენციები:—პასუხათ X-ს. ლექსი, გაე-ფშეველსი.—ოლიპპის გაჯიბრება.—ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო (დასასრული შესაბე წერილისა) ზომლელისა —სხვისია, სხვისი, ეკიუდი. ან. დეკანოზიშვილისა.—ბიბლიოგრაფია (გაგრძელება), თ. კიკვაძისა.—განცხადებაანი.—

კიდევ ორიოდე სიტყვა ქალაქის არჩევნებზე.

2 ასული წლის 23 დეკემბერს თბილისის თეთ-მართელობამ გადაწყვიტა ერთი სასოგადო არჩევნები მოახდინოს მისში მომავალ საბჭოს ასარჩევათ. ეს გადაწყვეტილება ბევრ ჩვენგანს არ ეტანოდა, სასოგადოებაც ახმაურდა, გაზეთებიც ალაპარაკდნენ, რასაკვირველია, ესეც ხომ იყო, რომ ეს შემთხვევა თვითონ ფარული შხამის ამოსაქარებელათ უნდოდათ გამოეყენებიათ. ჰგავს, ჩარხი ისე არ გადატრიალდა, როგორც ჩვენთვის სასურველი იყო. საქმე იმაში არის, რომ 1892 წლის საქალაქო დებულებამ მეტის-მეტათ შეამცირა ამომრჩეველთა რიცხვი. მაგალითათ, თბილისში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 165 ათასს აღემატება, არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ორი ათასზე ცოტა მეტს. საფუძვლათ კი ამ შემცირებისა მიღებული იყო სიმდიდრე. ცხადია, რომ ქალაქი მართეთა ჩაუვარდა ხელში პატარა გროვას, რომელშიაც თითქმის სულ ყველანი აღებ-მიცემობის მიმდევარნი არიან. რასაკვირველია, ასე შედგენილი საბჭო ყველაზე უწინ მზათ არის დაიცვას თავის წრის, გინდ კლასის, ინ-

ტერესები, ის ყოველ შემთხვევაში ისეთ ხერხს მიჰყოფს ხელს, რაც მის ბატონობას უზრუნველ-ჰყოფს. ასევე მოიქცა მომავალი არჩევნების საქმეში დღევანდელი თბილისის საბჭო.

იმავე შემოსენებული დებულების ძალით არჩევნები შეიძლება მოხდეს ორ გვართ: ან ერთი — სასოგადო, ან უბან-უბნათ. ასეთი კანონით თითქო უნდოდათ შემსუბუქებიათ არჩევნების მოხდენა დიდ ქალაქებში. რასაკვირველია, უბან-უბნათ არჩევნებს ერთი დიდი ნაკულუღევანება აქვს — ნაკულუღევანება, რომელიც აღემატება ყველა მის კარგ მხარეებს. ამ კანონის ძალით, ერთი უბნის ამომრჩეველებს არ შეუძლიათ აირჩიონ თავის წარმომადგენელათ სხვა უბნის მცხოვრები. ვთქვათ, ნათელულის მცხოვრებთ სურთ ვერის მცხოვრები იყოლიონ საბჭოში თავის წარმომადგენელათ. თუ არჩევნები უბან-უბნათ მოხდა, ეს შეუძლებელია. ასეთი უბან-უბნათ დაკინაება ქალაქის ინტერესებისა არას დროს სასურველი არ არის და პირდაპირ ეწინააღმდეგება ელემენტარულ თეთმართელობის წყობილებას. მაგრამ, მას ერთი ნათელი მხარე აქვს, როდესაც მას ამოუყენებთ გვერდში უკანასკნელ ქალაქის მკვიდრთა საარჩევნო უფლების შე-

მზღუდველ კანონს. როგორც ზეით მაგრესნენით, ქალაქის საბჭოში უმრავლესობას შეადგენენ მდიდრები. მათი ასეთი გადაჭარბება უკუ სასურველი მოგონებაა. მაგრამ ამასთან ისიც მოგვხსენებთ, რომ სხილ-ფეხა ვაჭრები უქეტესათ შეკრებილნი არიან ქალაქის ერთ-ერთ უბანში. თუ არჩენენთ უბნებათ მოახდინეს, მაშინ როგორღო უბნებში სხილ-ფეხა კაპიტალისტებს არ ექნებათ საქმარისი ნიადვი და ამ გეარათ მათი რიცხვი შემცირდება საბჭოში. მათ აღგელს კი უფრო შეუძლო, მაგრამ განათლების-ქმანე წრე დაიჭერს. მაგრამ სულ სხვა არის, როცა საზოგადო არჩენებია. მაშინ ყველა სხილ ფეხა მდიდრების კენჭი ცნობილ ყუთებში ჩაიყვება და ამით დამარცხდებიან უფრო ღარიბ წრეთა წარმომადგენელნი. როგორც ეხედათ, აქ ექრთა ინტერესების ბრძოლა და არა სხვა რაზე. ერთი თუღ წრეს, კალს სურს უპირატესობა დაიჭიროს საბჭოში და რა კი ეს უპირატესობა თვით კანონმა არგუნა მდიდრებს, იმათაც თავის სასარგებლოთ გამოიყენეს ეს უფლება. მაგრამ ჩვენში სულ სხვა მიზეზების გამოჩნდება უნდათ. აქაო და რაღაც ნაციონალური ელფერი ადგეს მათ მოქმედებასა, იმათ ჩვენი ერთგუნული ღირსების დამოკრება უნდათ. რა კი ისტორიული ვითარებას ჩვენი დედა-ქალაქის სიმდიდრე სხვა ერთიგის ჩაუგდია ხელში, ჩვენც ბრაზი მოგედის, თვალგები გვემღერევა და მართლს და მტყუნს ერთა ლაფით ესერთ, გესურს მთელ ერს ზიზლით და სიძულელით შევხედოთ.

ჩვენ არ გესურს დეეციობით ჩვენ თავს, როგორ უქეტრის დღეენდელ ქალაქში ბატონობას სომხების უმეტესი ნაწილი! რა უფრო სასარგებლოა იმავე სომხების უმეტესობისათვის, რომელიც, შეენწინათ, ჩენსავით ღარიბ-ღატაკია,—ის, რომ ქალაქის მართვა მისი მდიდარი ძმების ხელში იყოს, თუ საზოგადოთ ღარიბი ხალხის ინტერესების დამცველთა ხელში. თუ ჩვენ ეს კითხვს გამოარკვეული არ გვაქვს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სრულიად არ გვემის საზოგადოებრივი ძალების მიმართულება. ავილოთ თუნდ განათლება. როგორ ექცევა ახლანდელ საბჭოთა უმეტესი რიცხვი ამ კითხვას?—ან როგორც საქრზიბოროტო, ან როგორც საქველ-მოქმედო საქმეს. გადაუდებენ ღატაკს ორ გროშს—და გათავდა. მაგალითი ამ გეარი ქეტესისა ჩვენშივე მოიპოვება. აიღეთ კიდევ თუნდ ღარიბ ხალხისთვის საცხარებულ შენობების მოწყობა. რამდენი ღარიბი ლეგს სულს ქალაქებში საღლაც ჯურღმულში ჩაუღული, იმისთანა ჯურღმულში, რომელსაც მზის სხივების და დღის სინათლის კიდევ რხებენია. რამდენ მუშას ემხამება სიცოცხლე ნორ-

ჩი ცალ-შვილის, (უფრო შვილების) დახოცივით? განა არ შეუძლია ქალაქს,—რას ვამბობ—განა ვალდებული არ უნდა იყოს ქალაქი, რომ იზრუნოს ამ ღარიბ-ღატაკის ცხოვრების გასაუმჯობესებლოთ? და თუ თავისას ვერაფერს შეაწევეს, ეცადოს მინც, რომ მისივე ნაოფლოარი ფული უფრო სარგებლიანათ და გემრიელათ გამოაყენებოს? ახლა კიდევ გეკითხებით, ზრუნავს ახლანდელი საბჭო ამანზე, როგორც რიგი და წესია? სად არის, თუ ზრუნავს? უბედურობაც იმაშია, რომ ჯიბენ-სქელს ის ახ არ შეუძლია გაიგოს, იგრძნოს განათლების მსურველი ღატაკი კაცის სულის კვეთება, მისი გაჭარბება. ჩვენ, რასაკერველია, ამით კერძო პირებს კი არ შეეცებით, არამედ საზოგადო მიღრეცილებას აღენწინათ. ეს საზოგადო კანონია, რომელიც ისეთივე სიმართლით შეიძლება ითქვას ირლანდელ ლენდ-ლორდებზე—რომელითაც კართოფლის ჰამში ამოახრჩვეს ნახევარი ირლანდიის მკვიდრნი, ინდაელ ექსპლუატატორებზე და კიევის შაქრის მწარმოებლებზედაც. და სანამ 1892 წლის კანონი არსებობს, ჩვენი საბჭო ყოველითვის იქნება ცალ-მხრივი, ამ შემოსხენებულ სხილ-ფეხა აღებ მიცემობას მიმდევარი ხალხის ინტერესების დამცველი. ეს მოგონება არა ერთი რომელიმე ერის „ნაკულუღვენებაა“.

ჩვენ კი გავიძახით ყოველი უბედურება სომხების ბრალიაო. ეს კიდევ არაფერია, რომ მართა გავიძახოდეთ. აქ ჩვენი უღონობა რაღაც სხვა მხრისკენ გგვრავს მუჯღუგუნს, და ჰქმნარიტ გზას გვატღვენს. იმის მაგერს, რომ ჩვენ ვეცადოთ დავიციოთ თვით-მართეულობის პრინციპები, გავაფართოოთ მისი უფლებანი, გამოვარკვიოთ და შევიგნოთ ნამდვილი მიზეზები დღევანდელა არა სასურველი მდგომარეობისა, ეგრძობლოთ საქმეს თვით სათავეში, ვიპოვოთ სხვა ერთა შორს ჩვენივე თანამოახრენი, შევეუერთდეთ მათ და საერთოთ დავიციოთ ჩვენი ინტერესები, როგორც კაპიტალიზმის გაუმაძღარი დაღისაგან, აგრეთვე სხვა ძალ-მომკრებლისაგან—ჩვენ ეოწებთ კორკანობას და, ვინ იცის, ჩვენ დასაკლავ დანას ჩვენვე ემხრეტო.

ბ.

საბერძნეთი და მისი პოლიტიკა.

II *)



სმალებმა აიღეს 1453 წელს კონსტანტინოპოლი და მასთან გაუქმდა მთელი ბიზანტიის იმპერია. მას აქვთ საკუთრათ საბერძნეთი

) ის. აკეალო № 8.

წერილ სამთავროებათ დაიყო. იმათ ღონე აღარ ჰქონდათ ოსმალოს მძლავრობას გამაგრებოდენ და მიეკედლენ ვენეციის რესპუბლიკას. ამ მდგომარეობაში საბერძნეთი მთელი ერთი საუკუნე კიდევ სულს ღაფავდა, სანამდის ძლიერმა ოსმალების სახელმწიფომ თვით ვენეციის რესპუბლიკა არ განდევნა არხანგელავასის ზღვიდან და საბოლოოთ არ დაიმორჩილა ნაშთი საბერძნეთის ხალხსა. ეს მოხდა 1503 წელს. ამიერიდან საბერძნეთი, როგორც თვითარსი ხალხის აღარ იხსენებოდა, იმას მხოლოთ შერჩა თავისი მართლმადიდებელი სარწმუნოება, რომლის მწყემს-მთავარნი ხალხს სულიერათ ანუტყვევებდენ და გულს უმაგრებდენ საუკეთესო მომავლისათვის. თვით საბერძნეთის პატარა-პატარა სამთავროები სულ ერთიანთ განაწადგურა ოსმალების ჯარმა, რომელიც უმოწყალოთ მუსრავდა ყოველს მამაკაცს, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. დედაკაცებს აპატიურებდა და ძუძუწოვარ ყმაწვილებს ხანჯლებით ჰკრიათ თაყვებს. ამ უსუტყვო ქლელა-ზოცვაში საბერძნეთი ძალიან შემცირდა ხალხით, მთელი ქვეყანა მძორით და დაუმარხავი მკედრებით აყროლდა. ნადირი და მხეცი გამრავლდა, რომელიც ძალიან ეტანებოდა დაუმარხავ კაცის ლემს. ვინც კი ცოტა შევლებული იყო, თავს უშველა, დატოვა თავისი სამშობლო და გადასახლდა თვით კონსტანტინოპოლში სავაჭროთ. სხვანი კი მთელ დედამიწის ზურგზე დაიქაქენ. საბერძნეთის სამღვდლოება ამ უსუტყვო მდგომარეობაში გმირულათ იქცეოდა და სულიერ კავშირს არ ჰკარავდა თავის გაბნეულ სამწყსოსთან. იმ-სმა პატრიარქებმა გონიერული ყოვა ქცევით დაიმსახურეს პატრიარქება ოსმალების მტარფალებისა; ამათ თვით კონსტანტინოპოლში მისცეს პატრიარქებს ადგილ-სამყოფელი ერთ მდიდარ ძველებურ საბერძნეთის მონასტერში. ამ მონასტერს შერჩა თავისი გარემო ადგილები. პატრიარქმა აქ აირჩია თავისი ადგილ-სადგომი და ნიშნათ იმისა, რომ აქ იმყოფებოდა საბერძნეთის კათალიკოსი, იქ განუქრობოდათ ერთო დიდი ლაშკარი, რომელსაც ბერძენები „ფანარს“ ეძახდენ. პატრიარქთან შედგა რჩევა საუკეთესო მალალი განათლებული ეპისკოპოსებისაგან და ამ რჩევას ეწოდებოდა წმინდა სინოდი, რომელიც განაგებდა მთელი საბერძნეთის დაჩაგრული ერის სასულიერო საქმეებს. მაგრამ რადგან ამ სასულიერო წოდებას სულს გარდა თავის დაჩაგრული ერის ნივთიერ მდგომარეობაზედაც უნდა ეზრუნა, ამისთვის საბერძნეთის პატრიარქი საქმით მთვევ შეიქნა მთელი საბერძნეთისა. მამულისთვის თავ-გასწირულმა სამღვდლოებამ თავის გაბნეული სამწყსო ისევ შემოიკრიბა, მოაპოვა მისი განუსაზღვრელი ნდობა და

პატრიარქება. რასაც კი ის დაასაქმებდა უპატრონოთ დარჩენილ ხალხსა, უარი აღარ მოხერხდებოდა. აი, ამ დღიდან საბერძნეთის ეკლესია იღებდა შემოწირულობას ხალხისგან და ხალხიც თავისი მზრუნველი ეკლესიისათვის ლუკმა-პურის იტებდა და ნახევარ საღვდლოებას წირავდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ საბერძნეთის სამღვდლოება იმის მომავალი კეთილ-მდგომარეობისათვის და გაძლიერებისათვის თავს წირავდა.

საბერძნეთის წარჩინებულმა გეარებმაც იწყეს ნელ-ნელა პატრიარქის გარეშე მოქალაქეება და სინოდის განკარგულებისამებრ მოქმედება. ამიერიდან ამ წარჩინებულ და ნივთიერათ შეძლებულ წოდებას ეწოდა ფანარიოტები, ან პატრიარქის „ფანარს“ (ლაშკარს) გარეშე მცხოვრებლები.

ძალა აღმართს ხნავსა, რომ იტყვიან, ფანარიოტებიც ისე მოიქცენ. ყოველი მათი ღონისძიება იმაზე იყო მიქცეული, რომ მორჩილებით და გარეგანი ერთგულების ჩვენებით მოეღობათ მტარფალის გული და ხვანთქრის წყალობა მოეპოვინათ. თვით პატრიარქი მდიდარი სასუტყრებით და მორჩილებით შეჩენილი იყო, რომ ხვანთქრის ევზირები თავისკენ მიემხრო და ფანარიოტებ შორის ჰქიანოდა კაცები დაეყარებოდა საბერძნეთის მარტრებს და სლოცევის ქვეყნებში, ესე იგი ბოლღარიაში; სერბიაში და რუმელიაში „გოსპოდარებათ“, მთავრებთ, განწესებინა. ფანარიოტებმა ნელ-ნელა თვით ხვანთქრის უზენაეს გამგებანაშიც კი დაიჭირეს გავლენის მექონე ადგილები, ამათი შრომით ბოლოს იმდენზე მიეცა საქმი, რომ ხვანთქარმა ნება დართო ბერძნის ხალხს თავისი სასუთარი სკოლები ჰქონოდა და ხალხის განათლებას საქმე საბერძნეთის სამღვდლოებას მიწოდებოდა. ამას შემდეგ საბერძნეთის სამღვდლოება ზრდიდა ხალხს თავის დაცემული ქვეყნის ერთგულებისთვის, უნერგავდა ახალგაზრდას სამშობლოს სიყვარულს და აზნალებდა მომავალი თავისუფლებისთვის. მაღალ ადგილზე განწესებული ფანარიოტები კი ყოველსავე ასეთ მიმართულებას ხელს აუფარებდა.

საბერძნეთი მთავარებით და ვიწრო ხეობებით არის დავრებილი. ზღვისა და მდინარეების ნაპირებზე დაეფუნება შეენიერი და მოსავლიანი ქალები, მაგრამ მომეტებული ნაწილი საბერძნეთისა მანაც მთებსა და მთათ-სავანებს უჭირავს. სახმრებით საბერძნეთს ზღვისპირის ადგილები ზღვის უბნებით და შეენიერი ნავსადგურებით აქვს მორთული. ჩრდილოეთის ნაწილი კი მთათ-სავანეებთ არის დაყოფილი და იქ ცხოვრებენ მთითუ ბერძნები. აღმოსავლეთის ნაწილს მთიანი საბერძნეთისა ეწო-

დგმა თესლია, დასავლეთისას—გაბრი. ძველათ და ახლაც საბერძნეთის განათლება ზღვის პირათ იყო მოფენილი. აქ მდებარებდნენ და ღღესაც მდებარებენ საუკეთესო საბერძნეთის ქალაქები: ათინა, სპარტა, თება, კორინთი, მევარა, არგოსი, მიკენა და სხვა. ეს ნაწილი საბერძნეთისა ძველათაც იყო და ახლაც ძალიან განათლებულია და ეპქრობით გამდიდრებულია. შეენიერმა ნავსადგურებმა აქაურ ხალხს უძველესი ღრადანვე შეუწყო ხელი მგებლობაში და ახლაც ღიღ-ძალი სამხედრო და საეპქრო ფლოტი ჰყავს, რაკცა შეენება ჩრდილოეთ საბერძნეთს, იქ, როგორც ეთქვით, თესლიაში და ეპირში ცხოვრებს მითული ბერძნის ხალხი, ღიღ მთებ შორის ჩამწყვედული. ისინი ღღემდის დარჩენილან ძველ ჩვეულებასა და წესწყობილებასზე. ამითში ყველაზე უფრო მხნე და მეომარნი არიან სულის მდინარის პირათ მცხოვრებნი თესლიელი მითულები, რომელთაც სახელათ ეწოდება „სულიოტები“ და ეპირის მთებში მცხოვრებნი ალბანის ტომის ჩამომავალი ბერძნები, სახელათ „ეპიოტები“. ბევრს ეცადა ოსმალოს მთავრობა, რომ ეს მითული საბერძნეთის ხალხი დაემორჩილებია, მაგრამ მხნე მეომარნი გამაგრდნ თავის მითათ-საენებში და არ შეუშვეს ოსმალოს ჯარი ეროვნების გასაქლავათ. ამ ორ ნაწილმა საბერძნეთის ხალხისამ: ერთი მხრით განათლებულმა თანარიოტის უმაღლესმა წოდებამ და მეორე მხრით მითულმა ბერძნებმა კისრათ იღეს საბერძნეთის ეროვნების საქმე. ისინი შეიქნენ მომავალი თავისუფლების ბურჯათ. მათ შორის შემეერთებელ კავშირათ ჩადგა მამულისთევის თავგანწირული საბერძნეთის სამღვდლოება. ეპქრობით გამდიდრებული თანარიოტები არ უკავებდნენ ნიეთიერ საშუალებას, რომ სამღვდლოებას დაეარსებინა სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, ხოლო „სულიოტები“ და „ეპიოტები“ კი, რაკცა შეენებდობათ, თავ-განწირით იბრძოდნ ბრძოლის ველზე ოსმალების წინაღმდეგ და არ აჩაგრიებდნ თავს. საბერძნეთს ორი საუკუნე გაატარა ასეთ მონობაში, სანამის რომ სამღვდლოება არ შეძლებდა მთელი საბერძნეთის ხალხის ერთი მიზნისთვის შეგროვებას, არ გაანათლებდა მას და არ ჩაუნერგავდა გულში ღიღსა ჭ პატარას, ქალსა ჭ ვაჟს საერთო სამშობლოს სიყვარულს და მის აღდგენისათვის თავგანწირულ ბრძალს არ დააწყებინებდა. ამ ხნის განმავლობაში საწყალი ბერძნის ხალხი სად არ მიღობდა, რა ღდა მიწის კუთხეში არ მოგზაურობდა, რომ შრომით და ეპქრობით გამდიდრებულიყო და ნაწილი თავის სიმდიდრისა სამშობლო საკურთხეველზე დაედგა თავის ქვეყნის აღდგენის გულისთევის. თუ რა თავგანწირული პატრიოტები იყენ ბერძნები,

ამის მაგალითი აურაცხელია, მაგრამ ერთ მკალითს მეც მოიყევან, რომელიც ჩემი თვლით ენაზე. წარსულ წელს შემემთხვა ტავანროგს ყოფნა. იმღროს იქ მოკცდა ერთი უშვილო ბერქანი, გვართ ვალიანე. ეს კაცი ჯერ კიდეც სულ პატარა წამოსულიყო საბერძნეთადან რუსეთში მოგზაუბრით. ბოლოს შესულიყო ერთ სავაქრო გემზე მგზღვით (მატროსათ) და იქ ღიღანს ემსახურნა, შეეგროვებინა თავისი მომჭირნობით ცხოვადნი ფული და მერე ეპქრობისთვის მოკცდა ხელო. რომ მოკცდა, იმღროს ის სამოცი წლის მოხუცებული იყო. მას დარჩა სამასი მიღიონი ნაღდი, რომელიც სულ საბერძნეთში გაღიღანა და თავის სახელმწიფოს უანდღრდა. ორღესაც უბრალო წრიდანაც ერს ასეთ გულს შემპატარავი შეიღები ენადებინა, მისი აღრა დაეგრებარა, მისი ღიღებული ბელი მომავლისთვის გამტკიცებულია.

1768 წელს რუსეთის ხელმწიფემ, ეკატერინე მეორემ, ოსმალეთს ომი გამოუცხადა. ოსმალებისგან მეტათ შევიწროებულ საბერძნეთის ხალხს ეს ამბავი ფრიად იამა მით უშეტეხ, რომ სანამ რუსეთი ომს გამოაცხადებდა, მთავრობამ საიდუმლო აგენტებში გაგზავნა საბერძნეთს და გააერცელა მათში შემდეგი აზრი: „რუსეთი შევიწროებული ქრისტიანების გულისთევის იწყებს ომს ოსმალეთთან და მართლმადიდებელი საბერძნეთის ხალხს იმედი უნდა ჰქონდესო, რომ რუსეთი მას მუარეგლობას არ მოაკლდისო“. მართლაც 1770 წელს რუსის აღმირალი გრაფი თეოდორე ორლოვი რუსეთის ფლოტით საბერძნეთის მახრას, ლაკონიას მიადგა, ვაუკანა ჯარი და რამდენიმე საბერძნეთის ადგილები წაართვა ოსმალეთს. ეს შემთხვევა საკმაო იყო, რომ მთელი საბერძნეთის ხალხი ფეხზე დამდგარიყო და ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა დაეწყო. სამწუხაროთ რუსეთის ჯარმა მალე მიანება თავი საბერძნეთს. აღმირალმა ორლოვმა ჯარი ისევე უკან ჩახსა ხომალდებში და საბერძნეთი ოსმალეთის უღმობებელ ჯარებს მიუვლო შესამუსრავათ. მხოლოთ, ორღესაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობიანობა ჩამოეარდა, კუნუქ-კინარჯის ხელშეკრულობით რუსეთმა მოითხოვა, რომ ოსმალეთს საბერძნეთის სამღვდლოება განეთავისუფლებინა და საბერძნეთსაც ჯარის ყოლის ნება მისცემოდა. მაგრამ დამყარდა თუ არა მშვიდობიანობა, ოსმალოს მთავრობამ მაინც თავის ძალმომრეობა იხმარა და სახრეთის საბერძნეთი ალბანელებს გაანადგურებინა. ათწელს შემდეგ კვლავ ატყდა ომი რუსეთსა და ოსმალეთს შუა. საბერძნეთში მამინაც გამოჩნდნ რუსეთის აგენტები და ბერძნები ისევე განუყენეს ოსმა-

ლეთს. თუმცა რუსეთის ჯარი აქაც ვეღარ მოეხმარა ბერძნებს, მაგრამ თვით ბერძნები ისეთი მხნეობით იბრძოდნენ, რომ მთელი ოსმალოს ჯარი დამარცხეს თავის ქვეყანაში და აღზანელი ალი-ფაშა იანიისა მოკრის მახრიდან გამოავლეს. 1792 წელს იასის მორიგებაში საბერძნეთის მხრივ კვლავ განახლეს კუნუტ-კაინარჯის შერიგების მუხლები. ამიერიდან საბერძნეთის საღვდლოება საბოლოოთა განათვის სუფულა ოსმალეთის მიერაირობის გამოკიდებულენისაჲ; იმან დააარსა თავისუფალი სკოლები და თვით ბერძნების ფლოტმა რუსის დროშას ქვეშ დაიწყო თავისუფალი ეაქრობა. ამაში დიდი მხნეობა გამოიჩინეს მთელმა ბერძნებმა. „სულიოტები“ და „კიბროტები“ დიდ ზარალს აძლევდნენ ხოლმე ოსმალოს მხედართ-მთავარს ალი-ფაშა იანიისს, რომელიც თავისი ურღოთი მეორეთ ვეღარ შეეკარა სა ბერძნეთს.

ბ. წ.

(შემდეგი იქნება).

„კვალის“ კორესპონდენციები.



ქ. ჭათურა. ჩვენში 1894 წლამდის სკოლის ხსენება არ იყო. ამ 1894 წელს კი ამ კეთილ საქმის დამაარსებლათ შეიქნა შავი ქვის მწარმოებელი ამხანაგობა სინდიკატისა, რომელიც შედგა 10 მწარმოებელთაჲ; ამ პატიეცემულ პირებათა თვიანთ შეძლებს დაეკარათ აღმოუჩინეს ქვათურას და ახლო-მახლო მცხოვრებ ხალხს შემწევობა, და დააარსეს სკოლა, რომ მათ შეილებს შეესწავლათ ცოტა ან-ბანი მაინც. სკოლის დაარსებისათანავე 60-მდე შეგორდი მიიღეს სასწავლებელში; სკოლის შენობას რომ ნება მიეცა, მსურველი ასამდისაც იყო. ორ წელიწადს სასწავლებელს ინახავდა ამხანაგობა სინდიკატისა და დიდი მაღლობის ღირსიკ არის ამის გამო; დღეს, თუმცა სკოლა ისევ ისე არსებობს, მაგრამ რა გამოვლა ამ გვარი სწავლით? მასწავლებელი თვეში მხოლოდ 20 დღეს ანდამებს სწავლას და დანარჩენ დროს ბუეშები ამათი შესტკეპრთან სკოლის კედლებს; ან კი რა ჰქნას მასწავლებელმა? წინანდელი შეწირული ფულები ამ ორ წელიწადს დაიხარჯა, ამ ჭამათ ეკ აღარაიხან აღმოჩნდა ფულის შემწირაჲ, რომ მასწავლებელმა თუი მაინც გამოიკეცოს. თუმცა შავი ქვის მწარმოებელთა საქმე საწუგეშო მდგომარეობაში არ არის ახლა, მაინც, ჩვენ გეგონია, თითო პათეანისათვის, გინც ახლა აწარმოებს საქმეს, თვეში ათათი შაურის გამოღება ძნელი არ უნდა

იყოს, რომ ამ საშუალებით გადაარჩინონ სკოლა დასურვას. არც სკოლის შენობა ვარგა; რადგან ეს შენობა უფასოა, როგორ უნდა ვაგვიჭირდეს 50 მანეთი მოვადგროვით და ეს სკოლა ისე ვადავაკეთოთ, რომ შესაძლო იყოს მეტი მოსწავლე დაეთიოს შიგ. დიდი სირცხელი იქნება შავი ქვის მწარმოებელთათვის, რომ მათი უზრუნველობის გამო მათივე დაწუებული კეთილი საქმე ჩაფუშოს.

ი. ა. კვაბაძე.



გუჩაა. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი ცუდ ვარემოებაშია. აქაურ მოსწავლე ყმაწვილებს, უმეტეს ნაწილათ, სასწავლებლისევე ეკლესიაში ამყოფებენ, რომელიც მეტათ დაბალი და ვიწროა. რის გამო მოსწავლეების ფიზიკურ და გონებრივ მხარეებს საშინლათ ასახინრებს; დღე არ წავა ისე, თითო-ორიოლა ყმაწვილი სულ შეგუბებული და გულ შეწუხებული არ გამოიტანონ ვარეთ ჰავრის სიცოტების გამო. არ იქნება ურიგო, სასწავლებლის მართველობამ ყურადღება მიაკციოს ამ ვარემოებას.

ოზურგეთის მეორე საზრუნავი საქმე ისიც არის, რომ მდ. ბუტყზე ხიდი არა აქვს; რამდენი სოფელია, რომ ამ მდინარეზე უხილობით ვერ ბედავენ ოზურგეთში მიმოსვლას, რადგან რომ გაბედონ, ვინ იცის, რამდენი უბედურება დატრიალდება; მეტადრე მაშინ, თუ ეს მდინარე თავისებურათ გამოეცემა. ვინ არის მაღლიანი რომ ამას ყურადღება მიაკციოს, თორემ ძლიერ ყურადღების ღირსი კია!..

სახზოგეთის ოზურგეთის გონებრივ განვითარებაზე დაახლოებით არ შეგვიძლია რისამეს თქმა, მაგრამ ერთი კარგი ზეე კი ჰქონიათ აქაურებს, ასე რომ, თუ ვინმე გაილანძლა ჟურნალ-გაზეთით, იმის წაკითხვას უსიკვდილოთ ახერხებენ ყველანი; ზოგაერთი გულ წრფელი და კეთილ მიმართულებიანი ახალგაზდა ქალები სალიტერატურო საღამოებს მართავენ აქ, მაგრამ იმედია შემდეგში კიდევ უფრო უკეთ მოაწყობენ ამ სასარგებლო საქმეს. ორ თებერვალს აქ იყო გურიის საეპრო ამხანაგობის საგანგებო კრება; ბევრი ინტელიგენტთაგანი დაესწრა; ამავე საღამოს იყო კონცერტი საქალბეო სასწავლებელში, რომელმაც კარგათ ჩაიარა.

ცხლა გურიის სალაპარაკოთ აქვს ნეთის გამოჩენის მოლოდინი; დიდი იმედი აქვთ, რომ ნეთი უეჭველათ იქნება, სამოცი საჭენი უკვე გაუჭირათ სიღრმე; იქიდან ამოღებული ნაბურღი სულ ნეთშია მოზელოლი და ცუცხლი ეკიდება კიდევ. ნატანების სადატურის მახლობლათაც დაიწყეს ამგვარი მუშაობა.

მისაიდ ომბოცაძე.

* *

რ. გზის სადგური ჟუმათი. სხვა-და-სხვა პატრე-
ცემულ პირთა შემწეობით ჯუმათის რკინის გზის
სადგურთან წელს დეკარსეთ საეკლესიო სამრევლო
სკოლა. ეს მოქმედება თითქმის ყველას სასიამო-
ნოთ აქვს, უფრო იმათ, რომლებიც ამ სკოლაზე
ახლო სახლობენ და სამინისტრო სკოლა კი რეა-
ცხრა ევრსის სიზარებზე აქვთ.

ზემოხსენებულ სკოლის პატარა მოსწავლეები
დიდ მადლობას უძღენიან ბ. ნ იოსებ მდივანს, რომელ-
მაც გამოუგზავნა ამათ მთელი გასული წლის „ჯე-
ჯილები“, მთელი წლის საყოფი მელანი და კარან-
დაშები. ვისურვებ, რომ სხვებმაც მოიგონონ ბავშვები
და შემწეობა აღმოუჩინონ.

მღ. ნაყოლაოზ ჯიჯიაშვილი.

* *

ქუთაისი: ამ ყმათ აქ დაარსდა უფასო სამკითხ-
ველო და წიგნთ-საკაფი განსვენებულ გაბრიელ ეპის-
კოპოზის სახსრებით. ეს სამკითხველო უფრო მდა-
ბიო ზღვისთვის არის და უმეტესათ დაიარებიან:
ნოქრები, მზარეულები, „ლაიბები“ და სხვა აქაური
ღარიბ-მკედრნი. ქუთაისში ქალაქს აქვს უფასო სა-
მკითხველო, მაგრამ ის გამართულია უფრო ინტე-
ლიგენციისთვის: ქართული წიგნები თითქმის სულ
არ მოიპოვება და გაზეთებს თითო ეგზემპლარს თუ
ნახავს კაცი, ისიც მთელი დღე ერთ და იგივე ვისმეებს
უჭირაუთ ხელში. ამ ახალი სამკითხველოს გახსნა
სულზე მოეცწოა მდაბიო ზღვის. მართალია, ეს სა-
მკითხველო ჯერ მეტის-მეტე ღარიბია, მაგრამ იმე-
დი გვაქვს, შეიძენს ყველა ქართულ-რუსულ ჟურ-
ნალ-გაზეთებს და მკითხველებსაც საკმაოდ მოი-
პოვებს.

ამასთანავე კარგი იქნება მიაქციონ ყურადღება
რომ დღილით სამკითხველოს ასე გვიან ნუ აღებენ
და საღამოს კი აღრე ნუ ჰკეტავენ. იმედია ამ ნაკლს
თავიდან აღმოვრებენ.

გოჩა-ჯიჯიაშვილი.

* *

თიანეთი. როგორც იყო ვათუდა თიანეთის დე-
პოს რევიზია და აღმოაჩინა შემდეგი: რასაც აქამ-
დე მოკვებას აჩვენებდენ, სულ დიკარვა და პირ-
იქით დეპოს თენიდან დაჰკლებია 16 მან. და 16
კაპ. ჩანს დეპოს გამკობას კარგათ ვერ უწარმოე-
ბია საზოგადო საქმე და ანგარიშის დროს მარტო
ცარიელი ციფრები უჩვენებია საზოგადოებისათვის.

თუმცა არა სასიამოვნოა ყოველივე ესა, მაგრამ
საზოგადოება მაინც არ შეუშნოა და თავის დანი-
შნულებას უფრო მკვიდრათ მოჰკიდა ხელი: ამოირ-
ჩია უფრო საიმედონი ახალი გამკობის და რევიზიის
წევრნი, რომლებიც, იმედია, გასწორებენ ყოველსავე
ნაკულუდევანებას, შეიძენენ ახალ წევრებს და ამით
ვათართობენ საქმეს.

ივ.ბე.

ვ ა ს უ ხ ა თ ჯგ-ს.



ული მიკვდება“ ნუ ამბობს ამას,
გულის სიკვდილი ხომ აუგია?!
იმას მოუკვდეს, ვისც არა უყვარს,—

ვის ჭკვასთან გულიც ზედ წუფგუ
ღ წარბაც არ ჰხრის, ქედს მალა იღებს,
თვისი ცოდვები არ გაუგია.

ამოღებული უსისხლოთ, გაქვაცს
ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია,
მე არ მიკვდება, უფროც მთელდება
ჩემს გულზე წყლული, ძველი იარა.
ციდან ხმა მესმის ანგელოზების,
ცამ თვისი აზრი გამიზიარა.

„ბოლო კარგია“ და ჭრუანტელმა
თავით ბოლომდე ჩამოიზიარა.

და ამ ხმამ ტკბილმა ახლათ დამბადა
ბნელი კუნჭული გამიზიარა.

ვერა, ვერ ვატყვი, რომ აღმაფრენამ
ვითომ მავნა რამ, დამაზიარა.

„დრონი მეფობენ“ ძველთ ნათქვამია
და მეც მრწამს ესა, რომ ასე არი.

ჯერ აედარია, ქვის სეტყვა მოდის,
მაგრამ ეიმედობ ადგება ქარი,

დანიავეებს შეეთა ღრუბელთა
მოზიანდება, დაღება დარი.

და გაიღება, ერთხელ იქნება,
ბეჩაეთათვისცა სამოთხის კარი.

გოჩა-ჯიჯიაშვილი.

ოლიმპიის გავიზრება.



რკ ერთი ხალხი არ აქცედა იმდენ ყურადღებას ფიზიკურ განვითარებას, როგორც ბერძნები. სხეულის სავარჯიშოთ იმათ ცალკე სასწავლებლებიც კი ჰქონდათ, რომლებსაც გიმნაზიები ერქვათ. მთელი ხალხი აქ იკრიბებოდა; ახალგაზრდები და ბებრები—ყველა იჩენდა თავის ღონეს და სიძარტეს, ყველა ცდილობდა, გამაჩრავა და ჯოღლით — ქება აღდებოდა მიეღო.

ეს ვარჯიშობა მარტო ღრის გასატარებლათ არ იყო; იმას უყურებდნენ, როგორც ბრძოლისთვის, ომისთვის მომზადებას და ღრდ მნიშვნელობასაც აძლევდნენ. ამის გამო ყოველი მაშინდელი ბერძენი წარმოადგენდა ფიზიკურათ სრულ განვითარებულ კაცს, რომელსაც არ აკლდა არც ძალა და არც მონებრება თავის სამშობლო დასაცავათ.

ბერძენების გიმნასტიკა ამაში მდგომარეობდა: 1) სირბილი, 2) ხტომა, 3) შუბის და დისკის (ფოლადის რგოლი, საინის გეარ) სროლა და 4) ჭიდაობა. სირბილი ბერძენებმა მართლაც შესანიშნავი იყოდნენ; ეგრეთვე ადამიანი მათ ვერ მიწვევდა; ხტომაშიაც ძალიან გავარჯიშებული იყვნენ; ხტომა ის დროს ხელში იკავებდნენ მძიმე თუჯებს, როცა ანტიტებულნი — თუჯებს წინ გაქანევდნენ, — დახტომის დროს — თუკან წაიღებდნენ და ამიარათ შეუთერებლათ, მაგრათ დაეშვებოდნენ ხოლმე მიწაზე. შუბს, სროლის დროს, თასმებს ახვევდნენ. ძალიან ძნელი იყო ამ შუბის მიწაში მოხვედრება, რადგანაც პირდაპირ გავდებოდა არ შეიძლებოდა, შუბი უსათუთათ ტრიალით უნდა წასულიყო. არც დისკის სროლა იყო ადელი; ის ისეთი მძიმე იყო, რომ სროლის წინათ ბერძენებს მარცხენა ხელში ეჭირათ, მარჯვენა არ დაგვეღალოსო. ჭიდაობა სწორეთ უმაღლეს ხარისხადის ჰქონდათ შესწავლული, საკვირველ ღონეს, მოხერხებას და სიძარტეს იჩენდნენ ბერძენები ჭიდაობის დროს.

წელიწადში რამოდენიმეჯერ ყველა ბერძენები იკრიბებოდნენ სხვა-და-სხვა ამოჩრჩეულ ალაგს და იქ იჩენდნენ თავის სიძარტეს. ამისთანა გავიზრებაზე დასწრება ყველასთვის მიუკიდლებელი საჭირო იყო, ვერც ერთი ბერძენი ვერ წარმოადგენდა, რომ იქ არ ყოფილიყო იმ დროს. ყველას მიაჩნდა იგი საერთო, ერთნულ დღესასწაულათ და ყველა ალტაცებით მისწრაფობდა იქათ.

ყველა გავიზრებაზე უფრო შესანიშნავი იყო ოლიმპიის გავიზრება, რაკელიც ხდებოდა ოთხ წელიწადში ერთხელ ელიდაში, ქალაქ ოლიმპიაში, — და რომელსაც ისეთ დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ,


რომ წელთა აღრიცხვა ოლიმპიადაში ითვლებოდა. ამ გავიზრებაში გამარჯვებული იღებდა მხოლოდ დაუნის გვირგვინს, მაგიერათ მიეღ საბერძენეთში გავარდებოდა ხოლმე მისი სახელი, და აქებ-ადიდებდნენ არა მარტო მას, არამედ იმ ქალაქსაც, რომელმაც ასეთი სასაწყო შეიღ გამოზარდა. მოქალაქეები დიდი პატივისცემით და დღესასწაულობით შეიყვებდნენ ხოლმე გამარჯვებულს მის სამშობლო ქალაქში.

მოთავდარივე ოლიმპიის შევიზრებაში ელიდლები იყვენ. ყოველ გავიზრების წინ ისინი მთელ საბერძენეთში გამოაცხადებდნენ, ყველაფერს თავი დაანებეთ, აქ შეიკრიბეთო. და მართლაც ყველა ჩხუბი და ომი წყდებოდა, ყველა ელიდაში მიგრქარებოდა. იმდენი ხალხი მოაწყდებოდა ხოლმე, რომ თვით ოლიმპიაში ალარ ეტყოდნენ; ამ შემთხვევისათვის კარვენს და ხის სახლებს აშენებდნენ არე-მარენში; ამნაირათ გავიზრების დროსთვის უტბათ ჩნდებოდა უშველებელი ქალაქი, რომელიც ქრებოდა, როგორც კი კამათობა თავდებოდა. თვით საკამათო ადგილი წარმოადგენდა მდინარე ალიის პირზე ეგებულთა მოედანს, რომლის თემაშიც იყო აშენებული უმოთერესი ღმერთის, ზეცის, საყდარი. ეს საყდარი ბევრი შესანიშნავი ქანდაკებით იყო მართული, მაგრამ ყველაზე შესანიშნავი იყო შოგ საყდარში დადგმული საუცხოვოთ გამოქანდაკებული ზეცის, მართული ოქრითი და სპილოს ძლით.

ამ ქანდაკის ფეხითი მიიღებდნენ ხოლმე გამარჯვებულები თავის საჩუქარს—დაუნის გვირგვინს. მოედანს ვარემყო ერთყა ამალღებული ადგილი. ამთითერთი, მაყურებლებისათვის. ცოტა მოშორებით იყო კიდევ ერთი მოედანი, სადაც ევიზრებოდნენ ერთმანეთს ეტლების ტარებაში და ცხენოსნობაში.

ოლიმპიის შევიზრება ოთხი-ხუთი დღე ვრსელდებოდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში ყოველ სალამოს აჯილდოვებდნენ ხოლმე გამარჯვებულებს და მერე ყოველ ღამეს ქეიფში და მათ ქებაში ატარებდნენ. მათ სახელს შესანიშნავი პოეტებიც კი ადიდებდნენ თავის თხზულებებში. ვინც სამჯელ გამარჯვებდა, მას ნება ჰქონდა, თავისი ქანდაკი დავგა ასარგვის განაპირას პატარა ტყე ალტიდაში. ეს ტყე მალე აიღო ასი და თასი ქანდაკით.

როცა საბერძენეთი დაიპყრეს ოსმალებმა ოლიმპიის შევიზრება შეწყდა და მერე ალარ უჩენდა თავი. ქანდაკები სულ დაიტაცეს, ზეცის შესანიშნავი ქანდაკი კონსტანტინოპოლში გადაიტანეს. ზეცის საყდარი კი გადაწვეს; ცუცხლს მიწის ძეგა დემატა, მერე ალთეი გდმოვიდა ნაპირებიდან და სულ ერთიანათ დამარბა მიწასა და ქეიფსა ქეიფს ერთ



ოლიმპოს გავიბრება.

დროს საუბრობო ადგილი. ათას წელზე მეტი იყო დაფარული ეს ადგილი, მანამ გერმანელმა ცნობის-მოყვარეობამ არ ამოახედა ისევე დღემდამის ზურგზე. მართალია, იმდენი ევრაფერი ნახეს გერმანელებმა, რასაც მოელოდნენ, მაგრამ მაინც ამ გათხრის წყალობით, მეცნიერებამ ბევრი რამ შეიძინა თავის გასამდიდრებლათ და გასაფრთხილებლათ.

ე—გა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო.

„ღამურლა ქარან სასტუმრან, თან წარმოტაცა ყვაგილა...“

ნ. ბარათაშვილი.

(წერელი მესამე *)

მართა ეს საკვირველი ნიჭიერებით ჩამოსხმული პოეტური ნაწარმოებები სრულიად საკმაო იყო, ჩვენი ფიქრით, რომ გამოეხატა მთელი შინაარსი, ხასიათი ჭეშმარიტულადაა ნიკოლოზ ბარათაშვილის უმაღლესი, ნაზი და მდიდარი ლირიკისა. მართლა ეს ნაწარმოებები-ღა კმარადა, ვამბობთ, რომ ნათლად წარმოგვედგინა და შეგვეგონა პოეტის ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში...

ჩვენი გვერდზე ნათქვამი, რომ ახალმა ევროპამ დაბადა და წარმოშობა შესანიშნავი პოეტები, რომელთაც შესძვდათ ქვეყანა და სიცოცხლე და მწიარე სიტყვებით და მღელღარებასავეთ მწიარე გრძობებით გოდებდნენ, რომ სამუდამოთ განეკურნათ თავიანთი აღზვრათებული სული უძირო, ღრმა ობერისა და ეაებისგან. მერანზე გადამჯდარი ჩვენი სახელოეანი „სულით ობოლიც“ მიაპობს ჰაერის ზვირთებს და თვალ-უწივედნელ სიერცემი მიაქუნებს მერანს, რომელმაც უნდა „გააპოს წყალ“, გარდაიაროს კლდენი და ღრენი“, არ შეიბრალოს „დაქანცულეებით თავ-განწირული თვისი მხედარი, ნურცა სიტყესა, ნურცა აედარში“... წარმოიდგინეთ ერთ წამს პოეტის მდგომარეობა, ეს საშინელი მომენტები, როდესაც იგი უარ ჰყოფს და მძულვარებით შორიდება თავის ტკბილ სატრფოს გულისას, სწორთა და ნათესავთ ტოვებს თავის მშობელთა და მამულსაც კი ..

რას, მოგშორდე, ჩემს მამულსა, მოგაკლდე სწორთა და მკეობასა;

ნუდა გინიდავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბასსა,—
სადა დამიღმეს, იქ გამითენდეს, იქ იოს ჩემი მიწა სა-
მშობლო;
მსოფლოთ ვარსკვლავთა, თანა მკავლათ, ვამცნო გულისა
მე სადღესულა!
კენესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მივეცე ზღვისა ღელესა,
და შენ შეგინდეს, აღტრეგულს, გიკურსა ღელესა!..

ნუ დავიმარსო ჩემს მამულში, ჩემთა წინაპრთ საფლავებს შორის;
ნუ დამიტროს სატრფოა გულისა, ნუდა დამეგეს ტრემლი მწუსარსა,—
შვი ეოჩანნი გამითხრის საფლავს მდელათა შორის ტილის მინდვრისა,
და ქინისხელი მკავლათა შეინდლათ, ზარით, ღრავით მიწას მომაქრის!
სატრფოს ტრემლსა წილ, მკვდარსა, ოსკრსა, დამეგემან ციფრანი ცვარია,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნანგლათ, მიკავლავკენ სვანსა შეკარანი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მქარნო, გარდამატრე გულისა საზღვარსა,
თუ აქამომდე ან ემონა მას, ანდა აქ ემონას შინ მსუდარია..

სამავალითო რამ არის, არა თუ მართა ქართულს, თითქმის მთელს მსოფლიო პოეზიაშიაც ნაღელიანი გულის ასეთი გამოხატებით გამოხატვა, „ცოდელითა სადგურის“ ასეთი საშინელიებითა და თავ-დავიწყებით მიტოვება, თით ბიოგრაფიკი, ბნი ი. მეუნარგია, რომელიც კი მკოდნა სახელოეან მგოსანთა დიდი კავშირისა და დანაღლიანებული სულის ხელოეანურათ, პოეტურათ გამოხატვისა, ამბობს: „კარგათ რომ თარგმნოს კაცმა ბარათაშვილის ლექსები: „ჩემს მერანს“, „სული ბოროტო“ და ბირონის „ღონ-ტუნანში“, ჩაურთოს-ან „ჩაილდ-პროლდში“, არა მგონია დიდებული პოეტის ქმნილებების ერთობა დაირღვას. ისე მწიარეთ და სწორეთ არის ამოთქმული იმათში კაცობრიობის საყვედური ბოროტის მხედრის წინააღმდეგო“. მართალია, ლერ-მონტოეი, ბარბიე, და ჰენინე დიდა „სიამოვნებით მოაწერდენ ხელს ამ ლექსებსა“, მაგრამ დიდი ბრიტანიის დიდებული პოეტის შესახებ კი, ცოტა არ იყვის, საეჭვოა, რადგან იგი მეტის-მეტათ ამჟამი კაცი ვახლდათ..

*) ის. „გვალი“, № 8.

ნ. ბართაშვილმა ამ ლექსში უარ-ჰყო თვისი მამული, — რაა, მოეშორდე ჩემს მამულსა“... ანუ — „ნუ დაეიარსო ჩემს მამულში, ჩემთა წინაშე საფლავს შორის!“ ისე, როგორც შემდეგ მეორე დიდატ გამწარებულმა პოეტმა შესძახა თავის სათაყვანებელ წმინდა საგანს:

